16/01/2026

MES 0 26 0000029682

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 26.12.2025
სხდომის დაწყების დრო: 11:00 სთ
სხდომის დასრულების დრო: 12:53 სთ
საბჭოს თავმჯდომარე: ლევან შავაძე (II, III, IV, V, VI, VII, VIII, IX საკითხები)
სხდომის თავმჯდომარე: ქეთევან აფთარაშვილი (I საკითხი)
საბჭოს მდივანი: ვაჟა კელიხაშვილი (I, VI, VII, VIII, IX საკითხები)
სხდომის მდივანი: ციური დურული (II, III, IV, V საკითხები)

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 27^2-ე მუხლის მე-13 პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.
საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **ლევან შავაძე** - სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარულ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარე;

2. **ქეთევან აფთარაშვილი** - შპს - აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის განათლების მეცნიერებების ფაკულტეტის დეკანი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. **ვაჟა კელიხაშვილი** - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მენეჯერი - საბჭოს მდივანი;
4. **თეა მჭედლური** - შპს „უნივერსიტეტი ალტერბრიჯის“ ხარისხის სამსახურის კონსულტანტი;
5. **ვლადიმერ ადეიშვილი** - სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სწავლების მეთოდიკათა დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი, პედაგოგიური ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
6. **ციური დურული** - სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის პროფესორი, სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი;
7. **ქეთევან ნანობაშვილი** - შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი, ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის დეკანი;
8. **დავით კაპანაძე** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურის უფროსი, ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის პროფესორი;
9. **მაქსიმ იავიჩი** - შპს კავკასიის უნივერისტეტის პროფესორი, კიბერუსაფრთხოების ცენტრის ხელმძღვანელი;
10. **მზია წიკლაური** - შპს - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის მედიცინის სკოლის ასოცირებული პროფესორი;
11. **ელიზბარ ელიზბარაშვილი** - ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების და ბიოტექნოლოგიის სკოლის დეკანი;
12. **ქრისტინე ახალაძე** - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს იურიდიული სამმართველოს უფროსი;
13. **ირინა ლობჟანიძე** - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ლინგვისტურ კვლევათა ინსტიტუტის დირექტორი, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ენისა და ლიტერატურის მიმართულებით პროფესორი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:
ქრისტინე აბულაძე - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი.

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი
მანანა კევლიშვილი - "მევენახეობა და მეღვინეობის "- სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი;
სალომე თათულიშვილი - უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;
მზია ღაღოლიშვილი - აგრარულ, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი.

შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი
დავით ტეფნაძე - საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის რექტორის პირველი მოადგილე;
ემზარ ბარბაქაძე - რექტორის მოადგილე სასწავლო დარგში;

ნინო ღაჭავა - საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი.

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ივანე ჯაგოდნიშვილი - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;
თალიკო ჟვანია - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის დეკანი.
თინათინ კაიშაური - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი.

თამარ ლომინაძე, მარიამ ჩხაიძე - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "კომპიუტერული მეცნიერების" ბაკალავრიატის ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელები.

ზურაბ ბოსიკაშვილი, მზია კიკნაძე - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "ინფორმაციული ტექნოლოგიების" ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელები.

ზვიად წამალაიძე, ნიკო ცუცქირიძე - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "კომპიუტერული მოდელირების ტექნოლოგიები ბირთვული კვლევების ექსპერიმენტებისთვის" მაგისტრატურის ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელები.

შპს საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტი ჯიუ
ელისო ელისაშვილი - რექტორი
მარიამ დარბაიძე - ვიცე რექტორი ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებით
ზურაბ მუშკუდიანი - პროგრამის ხელმძღვანელი.
ნათია ჟოჟუაშვილი - პროგრამის ხელმძღვანელი.

შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი
გოდერძი ბუჩაშვილი - ვიცე-რექტორი ადმინისტრაციული მიმართულებით
ნონა ზუმბაძე - ხარისხის აუდიტი
ანა გვრიტიშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის ხელმძღვანელი
ნინო ჯოჯუა - რექტორის მრჩეველი ხარისხის მიმართულებით
ნია თოდუა - პროგრამის ხელმძღვანელი

აკრედიტაციის ექსპერტები:
ზოლტ ზოფი (Zsolt Zsófi) (I საკითხი);
თეკლე ზაკალაშვილი (I საკითხი);
ქრისტინე ჩიხლაძე (I საკითხი);
ლიკა კვინჩია (I და II საკითხები);
სეიფედინ კადრი (Seifedine Kadry) (II და VI საკითხები);
მიხეილ რუხაია (II საკითხი);
თამთა ცხოვრებაძე (II, VII, VIII საკითხები);
პაპუნა ქარჩავა (VI საკითხი)
ლია კურტანიძე (VI საკითხი)
თინათინ გაბრიჩიძე (VI საკითხი)

ნინო ალავიძე (VI საკითხი)
ვასილ კიკუტაძე (VII, VIII, IX საკითხები)
თეა კასრაძე (VII, VIII საკითხები)
ლიანა ზაგაშვილი (VII, VIII საკითხები)

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომის პირველ საკითხს უხელმძღვანელა სხდომის თავმჯდომარემ - ქეთევან აფთარაშვილმა, დამტკიცებული დღის წესრიგით განსაზღვრულ სხვა საკითხებს საბჭოს თავმჯდომარემ, ლევან შავაძემ.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 11:00 საათზე.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის "მევენახეობისა და მეღვინეობის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის “ინფორმაციული სისტემები ავიაციაში” საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „კომპიუტერული მეცნიერების“ ინგლისურენოვანი საბაკალავრო, „კომპიუტერული ინფორმაციული ტექნოლოგიების“ საბაკალავრო და „კომპიუტერული მოდელირების ტექნოლოგიები ბირთვული კვლევების ექსპერიმენტებისთვის“ ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. შპს საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტ ჯიუ-ს "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული გეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
5. შპს საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტ ჯიუ-ს "ბიზნესის ადმინისტრირების" ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული გეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
6. შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის „საზოგადოებასთან ურთიერთობის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ანგარიშის განხლვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით:

- კი

დამტკიცებული დღის წესრიგი:
1. სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის "მევენახეობისა და მეღვინეობის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

2. შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის “ინფორმაციული სისტემები ავიაციაში” საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის “ინფორმაციული სისტემები ავიაციაში“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებისათვის მიმდინარე სასწავლო სემესტრის დასრულებამდე სწავლის გაგრძელების უფლების მინიჭების შესახებ;
4. შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის "საჰაერო ხომალდების საფრენოსნო ექსპლუატაციის (პილოტი)" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებისათვის მიმდინარე სასწავლო სემესტრის დასრულებამდე სწავლის გაგრძელების უფლების მინიჭების შესახებ;
5. შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის "საჰაერო ხომალდების საფრენოსნო ექსპლუატაციის (პილოტი)" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებისათვის მიმდინარე სასწავლო სემესტრის დასრულებამდე სწავლის გაგრძელების უფლების მინიჭების შესახებ;
6. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „კომპიუტერული მეცნიერების“ ინგლისურენოვანი საბაკალავრო, „კომპიუტერული ინფორმაციული ტექნოლოგიების“ საბაკალავრო და „კომპიუტერული მოდელირების ტექნოლოგიები ბირთვული კვლევების ექსპერიმენტებისთვის“ ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
7. შპს საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტ ჯიუ-ს "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული გეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
8. შპს საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტ ჯიუ-ს "ბიზნესის ადმინისტრირების" ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული გეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
9. შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის „საზოგადოებასთან ურთიერთობის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ანგარიშის განხლვა.

პირველი საკითხი: სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის "მევენახეობისა და მეღვინეობის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: მევენახეობა და მეღვინეობა
საფეხური: მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: მევენახეობისა და მეღვინეობის მაგისტრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: 0888 - ინტერდისციპლინური – მოიცავს სოფლის მეურნეობას, მეტყევეობას, მეთევზეობასა და ვეტერინარიას
სწავლების ენა: ქართული
კრედიტების რაოდენობა: 120
სტატუსი: აკრედიტებული

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი

თვითაცილება განაცხადეს თეა მჭედლურმა და ლევან შავაძემ.
საფუძველი - შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ცენტრის თანამშრომელს დაედასტურებინა, რომ სხდომას ესწრებოდნენ დაწესებულების წარმომადგენლები და ექსპერტები. ცენტრის წარმომადგენელმა დაადასტურა აღნიშნული პირების დასწრება.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ზოლტ ზოფიმ (Zsolt Zsófi) აღნიშნა, რომ "მევენახეობა და მეღვინეობის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსში გათვალისწინებულია თანამედროვე ტენდენციები, რაც პროგრამას მიმზიდველს ხდის სტუდენტებისთვის. ექსპერტებს ძალიან კარგი შთაბეჭდილება დარჩათ შესაფასებელ პროგრამასთან დაკავშირებით უშუალოდ ვიზიტის დროს. მისი თქმით, მატერიალური რესურსებიც არის სავსებით საკმარისი პროგრამის წარმატებით განსახორციელებლად. მიუხედავად ამისა, ექსპერტებმა პროგრამასთან დაკავშირებით გასცეს რამდენიმე განმავითარებელი რეკომენდაცია:

1. რეკომენდებულია, კურსი „ვაზის მავნებლები და დაავადებები და მავნებლებისგან ინტეგრირებული დაცვის მეთოდები“ არჩევითი ბლოკიდან გადავიდეს პროგრამის სავალდებულო კომპონენტში;
2. რეკომენდებულია, გადაიხედოს კურიკულუმის სტრუქტურა წინაპირობების თვალსაზრისით.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დასკვნის პროექტში განსაზღვრული იყო 4 რეკომენდაცია, ხოლო არგუმენტირებული პოზიციის გაცნობის შემდეგ ექსპერტებმა ამოიღეს ორი რეკომენდაცია და საბოლოო დასკვნაში დარჩა 2 რეკომენდაცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ,,მევენახეობა და მეღვინეობის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიღების წინაპირობები მკაცრად არის განსაზღვრული, პროგრამაში წარმოდგენილია შემდეგი ჩანაწერი: ,,სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს ბაკალავრიატის კურსდამთავრებულს შემდეგი მიმართულებით: აგრარული, ტექნოლოგია, საბუნებისმეტყველო, ჯანდაცვის“. პროგრამის შედგენის დროს გათვალისწინებული იყო ის პირობა, რომ პროგრამაზე სწავლის მსურველთა დიდ ნაწილს ბაკალავრის საფეხურზე უკვე ნასწავლი აქვს ფიტოპათოლოგიის და ენტომოლოგიის სასწავლო კურსები, ამიტომ პროგრამაში წარმოდგენილი სასწავლო კურსი არჩევით ბლოკში განთავსებულ იქნა იმ პირებისთვის ვისაც არ აქვს ნასწავლი აღნიშნული კურსები ბაკალავრის საფეხურზე.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრი, ქეთევან ნანობაშვილი დაინტერესდა რა იყო ექსპერტების მხრიდან პირველი რეკომენდაციის გაცემის ძირითადი დასაბუთება.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ზოლტ ზოფიმ (Zsolt Zsófi) აღნიშნა, რომ მათთვის სავსებით გასაგებია დაწესებულების არგუმენტირებული პასუხი პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, თუმცა როგორც ექსპერტებისთვის გახდა ცნობილი, აღნიშნულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მიიღებიან არა მხოლოდ აგრარული მიმართულების, არამედ სხვა მიმართულებების ხარისხის მქონე სტუდენტებიც. ამიტომ არის მნიშვნელოვანი, რომ „ვაზის მავნებლები და დაავადებები და მავნებლებისგან ინტეგრირებული დაცვის მეთოდები“ სასწავლო კურსი იყოს სავალდებულო.

დაწესებულების წარმომადგენელმა დამატებით აღნიშნა, რომ მაგისტრანტები არჩევით კურსებს გადიან პირველივე სემესტრში და ვისაც აღნიშნული საგანი არ აქვს გავლილი, მათ ექნებათ შესაძლებლობა აირჩიონ.
საბჭოს წევრმა ციური დურულმა პროგრამაზე მიღების წინაპირობებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ წინაპირობებში ინგლისურ ენასთან მიმართებით მითითებულია, რომ სტუდენტს სჭირდება ენის ცოდნის დონის დამადასტურებელი ცნობა, თუმცა არ არის ზუსტად დაკონკრეტებული რა დონის ენას ითხოვს უნივერსიტეტი, შესაბამისად კარგი იქნება თუ ეს საკითხი დაზუსტდება.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 11:39
დასრულების დრო: 11:47

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის "მევენახეობისა და მეღვინეობის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით, 2032 წლის 26 დეკემბრამდე.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 -ე მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის "მევენახეობისა და მეღვინეობის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით - 2032 წლის 26 დეკემბრამდე.

მეორე საკითხი: შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის “ინფორმაციული სისტემები ავიაციაში” საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: ინფორმაციული სისტემები ავიაციაში
საფეხური: ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ინფორმაციული სისტემების ბაკალავრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: 0613 - პროგრამული უზრუნველყოფისა და აპლიკაციების განვითარება და ანალიზი
სწავლების ენა: ქართული
კრედიტების რაოდენობა: 240
სტატუსი: ახალი

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი

თვითაცილება განაცხადა ვაჟა კელიხაშვილმა. საფუძველი - შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ცენტრის თანამშრომელს დაედასტურებინა, რომ სხდომას ესწრებოდნენ დაწესებულების წარმომადგენლები და ექსპერტები. ცენტრის წარმომადგენელმა დაადასტურა აღნიშნული პირების დასწრება.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ცენტრის თანამშრომელმა აღნიშნა, რომ საერთაშორისო ექსპერტს, სეიფედინ კადრის (Seifedine Kadry) აქვს ტექნიკური ხარვეზი და დასკვნას წარადგენს ადგილობრივი ექსპერტი.
ექსპერტმა მიხეილ რუხაიამ აღნიშნა, რომ ვიზიტი იყო საკმაოდ ნაყოფიერი. ექსპერტებმა გასცეს 2 რეკომენდაცია:

1. რეკომენდებულია სასწავლო გეგმის კორექტირება ისე, რომ „ხელოვნური ინტელექტის ამოცანების გადაწყვეტა Python-ის გამოყენებით“ წინაპირობად განისაზღვროს კურსი „გამოყენებითი მათემატიკური სტატისტიკა“;
2. რეკომენდებულია აკადემიური პერსონალის წახალისება, რათა მონაწილეობა მიიღონ საერთაშორისო ღონისძიებებში და გამოაქვეყნონ სამეცნიერო ნაშრომები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ვიზიტი იყო ცალსახად კოლეგიალური და განვითარებაზე ორიენტირებული. სულ გაიცა 2 რეკომენდაცია და დაწესებულებამ გაიზიარა ორივე მათგანი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 11:56
დასრულების დრო: 11:58

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის “ინფორმაციული სისტემები ავიაციაში” საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით, 2032 წლის 26 დეკემბრამდე.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 -ე მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის “ინფორმაციული სისტემები ავიაციაში” საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 2032 წლის 26 დეკემბრამდე.

მესამე, მეოთხე და მეხუთე საკითხები: შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის „ინფორმაციული სისტემები ავიაციაში" საბაკალავრო, "საჰაერო ხომალდების საფრენოსნო ექსპლუატაციის (პილოტი)" საბაკალავრო და "საჰაერო ხომალდების საფრენოსნო ექსპლუატაციის (პილოტი)" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებისათვის მიმდინარე სასწავლო სემესტრის დასრულებამდე სწავლის გაგრძელების უფლების მინიჭების საკითხის განხილვა:

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი

აცილება განაცხადა ვაჟა კელიხაშვილმა. საფუძველი - შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ცენტრის თანამშრომელს დაედასტურებინა, რომ სხდომას ესწრებოდნენ დაწესებულების წარმომადგენლები და ექსპერტები. ცენტრის წარმომადგენელმა დაადასტურა აღნიშნული პირების დასწრება.

მესამე, მეოთხე და მეხუთე საკითხების **ზეპირი მოსმენა**
საბჭომ გადაწყვიტა შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის შუამდგომლობები განეხილა ერთი მოსმენის ფარგლებში.

შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ „ინფორმაციული სისტემები ავიაციაში“ საბაკალავრო, "საჰაერო ხომალდების საფრენოსნო ექსპლუატაციის (პილოტი)" და "საჰაერო ხომალდების საფრენოსნო ექსპლუატაციის (პილოტი)" ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებს აკრედიტაციის ვადები ეწურებათ 2025 წლის 31 დეკემბერს. დაწესებულებას სურს რომ მოახერხოს აღნიშნულ პროგრამებზე შიდა მობილობის გამოცხადება და სტუდენტების გადაყვანა განახლებულ, ახლად აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამებზე. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, "საჰაერო ხომალდების საფრენოსნო ექსპლუატაციის (პილოტი)" და "საჰაერო ხომალდების საფრენოსნო ექსპლუატაციის (პილოტი)" ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერთან დაკავშირებით ცენტრში მიმდინარეობს

ადმინისტრაციული წარმოება. მიუხედავად იმისა, რომ ზემოთ აღნიშნულ ორივე შემთხვევაში უკვე განხორციელდა სააკრედიტაციო ვიზიტები ექსპერტთა ჯგუფის ჩართულობით, წარმოება ამ ეტაპზე არ არის დასრულებული.
ზემოთ განხილული გარემოებების გათვალისწინებით, დაწესებულებამ სთხოვა საბჭოს „ინფორმაციული სისტემები ავიაციაში“ საბაკალავრო საგანამანათლებლო პროგრამის, ასევე, "საჰაერო ხომალდების საფრენოსნო ექსპლუატაციის (პილოტი)" და "საჰაერო ხომალდების საფრენოსნო ექსპლუატაციის (პილოტი)" ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებისთვის მიეცათ უფლება დაესრულებინათ სასწავლო სემესტრი. დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე აღნიშნა, რომ საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის აკადემიური კალენდრის მიხედვით, შემოდგომის სემესტრი სრულდება 2026 წლის 30 იანვარს და გაზაფხულის სემესტრი იწყება 2026 წლის 16 თებერვალს. შესაბამისად დაწესებულებამ სთხოვა საბჭოს ზემოთ აღნიშნული პროცესების განსახორციელებლად, სემესტრის დასასრულებლად განსაზღვრულიყო ვადა 2026 წლის 15 თებერვლის ჩათვლით.

საბჭოს წევრებს არ ჰქონიათ დამატებითი კითხვები.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 12:20
დასრულების დრო: 12:30

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის “ინფორმაციული სისტემები ავიაციაში” საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებისათვის მიმდინარე სასწავლო სემესტრის დასრულებამდე (2026 წლის 15 თებერვალის ჩათვლით) სწავლის გაგრძელების უფლების მინიჭების შესახებ.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დასაბუთებული შუამდგომლობის (წერილი №1805856, 18/12/2025), საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2025 წლის 26 დეკემბრის სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, “განათლების ხარისხის განვითარების შესახებ” საქართველოს კანონის 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების” 27^{8}-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, დაკმაყოფილდეს შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის შუამდგომლობა და “ინფორმაციული სისტემები ავიაციაში” საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებს მიეცეთ შესაძლებლობა მიმდინარე სასწავლო სემესტრი (2026 წლის 15 თებერვლის ჩათვლით) დაასრულონ აღნიშნულ საგანმანათლებლო პროგრამაზე.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის "საჰაერო ხომალდების საფრენოსნო ექსპლუატაციის (პილოტი)" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებისათვის მიმდინარე სასწავლო სემესტრის დასრულებამდე (2026 წლის 15 თებერვალის ჩათვლით) სწავლის გაგრძელების უფლების მინიჭების შესახებ.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დასაბუთებული შუამდგომლობის (წერილი №1805856, 18/12/2025), საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2025 წლის 26 დეკემბრის სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, "განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 27^8-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, დაკმაყოფილდეს შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის შუამდგომლობა და "საჰაერო ხომალდების საფრენოსნო ექსპლუატაციის (პილოტი)" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებს მიეცეთ შესაძლებლობა მიმდინარე სასწავლო სემესტრი (2026 წლის 15 თებერვლის ჩათვლით) დაასრულონ აღნიშნულ საგანმანათლებლო პროგრამაზე.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის "საჰაერო ხომალდების საფრენოსნო ექსპლუატაციის (პილოტი)" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებისათვის მიმდინარე სასწავლო სემესტრის დასრულებამდე (2026 წლის 15 თებერვალის ჩათვლით) სწავლის გაგრძელების უფლების მინიჭების შესახებ

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დასაბუთებული შუამდგომლობის (წერილი №1805856, 18/12/2025), საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2025 წლის 26 დეკემბრის სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, "განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 27^8-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, დაკმაყოფილდეს შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის შუამდგომლობა და "საჰაერო ხომალდების საფრენოსნო ექსპლუატაციის (პილოტი)" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებს მიეცეთ შესაძლებლობა მიმდინარე სასწავლო სემესტრი (2026 წლის 15 თებერვლის ჩათვლით) დაასრულონ აღნიშნულ საგანმანათლებლო პროგრამაზე.

მეექვსე საკითხი: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „კომპიუტერული მეცნიერების" ინგლისურენოვანი საბაკალავრო, „კომპიუტერული ინფორმაციული ტექნოლოგიების" საბაკალავრო და „კომპიუტერული მოდელირების ტექნოლოგიები

ბირთვული კვლევების ექსპერიმენტებისთვის“ ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: კომპიუტერული მეცნიერება
საფეხური: ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: კომპიუტერული მეცნიერების ბაკალავრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: 0613 - პროგრამული უზრუნველყოფისა და აპლიკაციების განვითარება და ანალიზი
სწავლების ენა: ინგლისური
კრედიტების რაოდენობა: 240
სტატუსი: აკრედიტებული

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: კომპიუტერული ინფორმაციული ტექნოლოგიები
საფეხური: ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ინფორმაციული ტექნოლოგიების ბაკალავრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: 0612 - მონაცემთა ბაზებისა და ქსელების დიზაინი და ადმინისტრირება
სწავლების ენა: ქართული
კრედიტების რაოდენობა: 240
სტატუსი: აკრედიტებული

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: კომპიუტერული მოდელირების ტექნოლოგიები ბირთვული კვლევების ექსპერიმენტებისთვის
საფეხური: მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ინფორმატიკის მაგისტრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: 0613 - პროგრამული უზრუნველყოფისა და აპლიკაციების განვითარება და ანალიზი;
სწავლების ენა: ინგლისური
კრედიტების რაოდენობა: 120
სტატუსი: აკრედიტებული

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√დიახ

თვითაცილება განაცხადა დავით კაპანაძემ.
თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეექვსე საკითხისზეპირიმოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
საერთაშორისო ექსპერტმა, სეიფედინ კადრიმ, წარმოადგინა რეკომენდაციები საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებით. მისი თქმით, 1.1 კომპონენტის ფარგლებში, რომელიც ეხება მეორე პროგრამას, რეკომენდებულია პროგრამის მიზნებში დამატებულ იქნეს კომპეტენციებზე მკაფიოდ ორიენტირებული ჩანაწერები. 1.2 კომპონენტის რეკომენდაცია ეხება მესამე პროგრამას და გულისხმობს სწავლის შედეგებში გამოყენებული ზოგიერთი ზმნის ჩანაცვლებას გაზომვადი ზმნებით, ბლუმის ტაქსონომიისა და მე-7 დონის მოთხოვნების შესაბამისად. ამავე პროგრამასთან მიმართებით გაიცა კიდევ ერთი რეკომენდაცია, რომლის მიხედვითაც შეფასების გეგმაში უნდა აისახოს სწავლების კომპონენტების შეფასება. 1.5 კომპონენტის ფარგლებში რეკომენდებულია, კომპიუტერული მეცნიერების პროგრამაში დაემატოს პროგრამული ინჟინერიის სასწავლო კურსი ან ინტეგრირებულ იქნეს პროგრამული ინჟინერიის შესაბამისი თემები. 2.4 კომპონენტის რეკომენდაციები კლასტერული ხასიათისაა და მოიცავს შემდეგ საკითხებს: უნივერსიტეტმა უნდა გააძლიეროს პლაგიატთან დაკავშირებული შიდა რეგულაციები, რაც გულისხმობს როგორც ლექტორებში, ისე სტუდენტებში დადგენილი წესებისა და პროცედურების შესახებ ცნობიერების ამაღლებას; ასევე რეკომენდებულია ანტიპლაგიატის ინსტრუმენტების გამოყენებასთან დაკავშირებული მონიტორინგის მექანიზმების გაძლიერება, რაც უზრუნველყოფს მათ თანმიმდევრულ და ეფექტურ გამოყენებას ყველა დაინტერესებული მხარის მიერ. ამასთან, სტუდენტთა შეფასებების საიმედოობისა და ვალიდურობის უზრუნველსაყოფად, უნივერსიტეტმა წინასწარ უნდა განსაზღვროს მონიტორინგის მექანიზმები, მათ შორის ელექტრონული და დისტანციური სწავლების პირობებში. აღნიშნული რეკომენდაციები წარმოდგენილია კლასტერული ფორმით. 3.2 კომპონენტის ფარგლებში რეკომენდებულია, მარეგულირებელ დოკუმენტში - „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მაგისტრატურის დებულება“ -დეტალურად განისაზღვროს ხელმძღვანელობის სიხშირე და იმ სტუდენტთა მაქსიმალური რაოდენობა, რომელთა ხელმძღვანელობაც ერთდროულად შეუძლია ერთ პირს. გარდა ამისა, რეკომენდებულია, შიდა რეგულაციების ფარგლებში მკაფიოდ განისაზღვროს მაგისტრანტთა ნაშრომების ხელმძღვანელის ან ხელმძღვანელების საქმიანობის ხარისხის შეფასების მექანიზმები და ჩატარდეს შესაბამისი ცნობიერების ამაღლების ღონისძიებები. 5.1 კომპონენტის რეკომენდაციებიც კლასტერულია და გულისხმობს, რომ საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების შედეგების ანალიზი განხორციელდეს იმგვარ დონეზე, რომელიც უზრუნველყოფს თითოეული პროგრამის სიღრმისეულ შეფასებას და პროგრამების განვითარებისთვის საჭირო სრულყოფილი ინფორმაციის მიწოდებას. ამავე კომპონენტის ფარგლებში, მესამე პროგრამასთან მიმართებით რეკომენდებულია, შრომის ბაზრის ანალიზი შეესაბამებოდეს თითოეული პროგრამის ინდივიდუალურ თავისებურებებს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პირველი და მეორე რეკომენდაციები სრულად იქნა გაზიარებული და შესაბამისი ცვლილებები უკვე განხორციელდა. ასევე ინსტიტუცია იზიარებს სწავლის კომპონენტების შეფასებასთან დაკავშირებულ რეკომენდაციას; აღნიშნულის ფარგლებში პროგრამაში შევიდა ცვლილება და დაემატა თანახელმძღვანელი -

ზვიად წამალაიძე. შემდეგი რეკომენდაცია სასწავლო კურსის დამატებას შეეხებოდა, რაც ასევე გათვალისწინებულია დაწესებულების მიერ. პლაგიატთან დაკავშირებულ შიდა რეგულაციებზე საუბრისას აღინიშნა, რომ ამ მიმართულებით დაწესებულებაში პროცესები გამართულად ფუნქციონირებს: შესაბამისი პროცედურები დეტალურად არის გაწერილი სამ სხვადასხვა დოკუმენტში და მკაფიოდ განსაზღვრავს პლაგიატის შიდა მონიტორინგის მექანიზმებს საფაკულტეტო დონეზე.
სამაგისტრო ნაშრომის ხელშეკრულებებთან დაკავშირებულ რეკომენდაციაზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ აღნიშნული საკითხი რეგულირდება აკადემიური პერსონალის შრომითი ხელშეკრულებებით. დამატებით, ზაფხულში ჩატარდა ღია საერთაშორისო აკადემიური კონკურსი, რომლის ფარგლებშიც ყველა პოზიციისთვის საკონკურსო პირობებში მკაფიოდ იყო განსაზღვრული მოთხოვნილი პარამეტრები.
უნივერსიტეტი ასევე იზიარებს 5.1 და 5.3 კომპონენტების რეკომენდაციებს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრმა, ქეთევან ნანობაშვილმა აღნიშნა, რომ დასკვნაში არის ერთი ტექნიკური ხარვეზი მეორე პროგრამას დასკვნაში მისანიჭებელ კვალიფიკაციაში მითითებულია „კომპიუტერული მეცნიერების“ ბაკალავრი და უნდა იყოს „ინფორმაციული მეცნიერების“ ბაკალავრი.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 12:22
დასრულების დრო: 12:27

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "კომპიუტერული მეცნიერების“ ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით, 2032 წლის 26 დეკემბრამდე, 1 წლის თავზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^{2}მუხლის პირველი პუნქტის, 27^{5}მუხლი ს პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^{6}მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "კომპიუტერული მეცნიერების“ ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 2032 წლის 26 დეკემბრამდე, 1 წლის თავზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენით.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "კომპიუტერული ინფორმაციული ტექნოლოგიების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით, 2032 წლის 26 დეკემბრამდე, 1 წლის თავზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2მუხლის პირველი პუნქტის, 27^5მუხლი ს პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "კომპიუტერული ინფორმაციული ტექნოლოგიების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 2032 წლის 26 დეკემბრამდე, 1 წლის თავზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენით.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "კომპიუტერული მოდელირების ტექნოლოგიები ბირთვული კვლევების ექსპერიმენტებისთვის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით, 2032 წლის 26 დეკემბრამდე, 1 წლის თავზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2მუხლის პირველი პუნქტის, 27^5მუხლი ს პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "კომპიუტერული მოდელირების ტექნოლოგიები ბირთვული კვლევების ექსპერიმენტებისთვის" სამაგისტრო

საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 2032 წლის 26 დეკემბრამდე, 1 წლის თავზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენით.

ვინაიდან დღის წესრიგით გათვალისწინებული მომდევნო ორი საკითხი ეხებოდა შპს საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტ ჯიუ-ს და მათი შესწავლა მოხდა ერთი და იმავე ექსპერტთა ჯგუფის მიერ, საბჭოს თავმჯდომარემ ითხოვა, რომ აღნიშნული საკითხების განხილვა მომხდარიყო ერთად, რაზეც დაწესებულებამ და საბჭოს წევრებმა თანხმობა განაცხადეს.

მეშვიდე საკითხი: შპს საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტ ჯიუ-ს "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული გეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: ბიზნესის ადმინისტრირება
საფეხური: ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: 0413 - მენეჯმენტი და ადმინისტრირება
სწავლების ენა: ქართული
კრედიტების რაოდენობა: 180
სტატუსი: აკრედიტებული

მერვე საკითხი: შპს საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტ ჯიუ-ს "ბიზნესის ადმინისტრირების" ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული გეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: ბიზნესის ადმინისტრირება
საფეხური: ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: 0413 - მენეჯმენტი და ადმინისტრირება
სწავლების ენა: ინგლისური
კრედიტების რაოდენობა: 180
სტატუსი: აკრედიტებული

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა

მეშვიდე და მერვე საკითხების ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ვასილ კიკუტაძემ აღნიშნა, რომ ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 10 ნოემბერს ბიზნესის ადმინისტრირების ქართულენოვან და ინგლისურენოვან

საგანმანათლებლო პროგრამებზე. დაწესებულების მხრიდან ყველა რეკომენდაცია იყო შესრულებული. იყო მხოლოდ 2 ტექნიკური დეტალი, რომლებიც რეკომენდაციაში აისახა, თუმცა დაწესებულების მხრიდან არგუმენტირებული პოზიციის შემდეგ ესეც შესრულდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
დაწესებულების წარმომადგენელმა, მარიამ დარბაიძემ აღნიშნა, რომ იყო 2 ტექნიკური რეკომენდაცია, რომელიც არგუმენტირებულ პოზიციაში უკვე ჩასწორდა ინსტიტუციის მიერ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრმა, ციური დურულმა კითხვით მიმართა ექსპერტს. მას აინტერესებდა ანალოგიური რეკომენდაციები იყო თუ არა გაცემული წინა აკრედიტაციის დროს.
ვასილ კიკუტაძემ აღნიშნა, რომ იყო, თუმცა სხვა კუთხით. ახლა აღნიშნული რეკომენდაცია გაიცა მეტი კონკრეტიზაციით, რათა ნათელი ყოფილიყო დაწესებულებისთვის.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 12:37
დასრულების დრო: 12:42

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტ ჯიუ-ს "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაწყებული გეგმური მონიტორინგის ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27[2] მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის 25-ე პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს შპს საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტ ჯიუ-ს "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტ ჯიუ-ს "ბიზნესის ადმინისტრირების" ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაწყებული გეგმური მონიტორინგის ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27[2] მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის 25-ე პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს შპს საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტ ჯიუ-ს "ბიზნესის ადმინისტრირების" ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.

მეცხრე საკითხი: შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის „საზოგადოებასთან ურთიერთობის“ საბაკალავრო საგანმანთლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის განხილვა.

საგანმანათლებლოდაწესებულებისმიერსაბჭოსწევრ(ებ)ისაცილება
√ არა
საბჭოსწევრ(ებ)ისთვითაცილება
√ არა

მეცხრე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტს წარმოედგინა პოზიცია.
ექსპერტმა ვასილ კიკუტაძემ აღნიშნა, რომ გაცემული იყო 4 რეკომენდაცია, მათ შორის რამდენიმე კურსის დამატების შესახებ. დაწესებულებას კი ოთხივე რეკომენდაცია ზედმიწევნით აქვს შესრულებული.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
დაწესებულების წარმომადგენელმა, ნინო ჯოჯუამ აღნიშნა, რომ დაწესებულებამ მაქსიმალურად შეასრულა ყველა გაწერილი რეკომენდაცია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონიათ.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 12:45
დასრულების დრო: 12:47

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის „საზოგადოებასთან ურთიერთობის“ საბაკალავრო საგანმანთლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი საბჭოს რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრისშედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

აკრედიტაციის დებულების 27^{6} - ე მუხლის მე - 2 პუნქტისა და მე-2^{11} პუნქტის საფუძველზე, შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის „საზოგადოებასთან ურთიერთობის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნა მიღებული.

საბჭოს მიერ მიღებული ყველა გადაწვეტილება ძალაში შევიდა 2025 წლის 26 დეკემბერს.

დღის წესრიგით განსაზღვრული საკითხების განხილვის დასრულების შემდგომ, საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა 2025 წლის 26 დეკემბრის 12:53 სთ-ზე.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭოს
მდივანი
კელიხაშვილი ვაჟა

საგანმნათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის მდივანი
დურული ციური

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭოს სხდომის თავმჯდომარე,
აფთარაშვილი ქეთევან

საგანმნათლებლო პროგრამების აკრედიატციის საბჭო
თავმჯდომარე
ლევან შავაძე